სპარტაკი

50 პერსონა - მათ შექმნეს ისტორია

2018-04-17



50 პერსონა - მათ შექმნეს ისტორია

ტომი 23

გამომცემლობა პაღიტრა L

ჟურნალ "ისტორიანის" ბიბლიოთეკა

ავტორი **გრანი ქავთარია**

რედაქტორი ლადო იოსებაძე
კორექტორები: სვეტა კვარაცხელია, ნატალია ჩიმაკაძე
დიზაინერი რატი თორდია
პასუხისმგებელი რედაქტორი ნატალია ახვლედიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი
პროექტის მენეჯერი ელისო რეხვიაშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2018
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71
www.palitral.ge

*** * ***

ვუძღვნი ჩემი უმცროსი ძმების, იურისა და ვიტალის ხსოვნას

შესავალი

რომაული დღესასწაულები და სანახაობები ანტიკურ წყაროებში მეფეთა ხანიდან არის დაფიქსირებული. მეფეთა ხანა (ძვ. წ. VIII-VI საუკუნეები) რომის ისტორიის საწყისი საფეხურის სინამდვილისაგან საკმაოდ დაშორებული მოვლენების თანამიმდევრული თხრობის შესანიშნავი მაგალითია. ეპოქაზე მიწერილი მოვლენების დიდი ნაწილი გვიანი პერიოდის ჩანამატად არის მიჩნეული. ამის მიუხედავად, ლეგენდარული ამბების გვერდით ბევრი ისეთი ფაქტია დაფიქსირებული, რომლის უარყოფა „მარადიული ქალაქის" დაბადებისა და პირველი ნაბიჯების ისტორიას სერიოზულ ჩრდილს მიაყენებდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ძველი ქალაქის ისტორია ლეგენდებიდან იღებს სათავეს და ამ კუთხით არც „მსოფლიოს დედაქალაქი" რომი არის გამონაკლისი.

რომის პირველ მეფედ მატიანე ქალაქის დამაარსებელ რომულუსს ასახელებს, რომლის წარმომავლობა ზღაპრული პერსონაჟის შთაბეჭდილებას ტოვებს. ისტორია იცნობს რომის შვიდ მეფეს (რომულუსი, ნუმა პომპილიუსი, ტულუს ჰოსტილიუსი, ანკუს მარციუსი, ტარკვინიუს პრისკუსი, სერვიუს ტულიუსი, ტარკვინიუს ამაყი). რომის აპოლოგეტი, სახელოვანი ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი (ცხოვრობდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე), ლეგენდებისა და გადმოცემების მხატვრულად დალაგების ფონზე, საოცრად მიმზიდველად აღწერს გარდასული ეპოქის შუქ-ჩრდილებს. მეფეთა ხანის ისტორიაში განსაკუთრებული როლი დაეკისრა მეექვსე მეფეს, სერვიუს ტულიუსს. მის მიერ გატარებული რეფორმები რომის ძლიერების საფუძველი გახდა. მეფე-რეფორმატორმა რომი დაყო სამ ტერიტორიულ ტრიბად (ოქქად), რომლებმაც ძველი გვაროვნული ტრიბები შეცვალეს. რეფორმის თანახმად, ტრიბები ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ არა სისხლით ნათესაობის პრინციპით, არამედ ტერიტორიული ნიშნებით. სერვიუს ტულიუსის რეფორმებში განსაკუთრებული ადგილი უკავია

ქონებრივი ცენზის დაწესებას. მეფემ რომის თავისუფალი მოსახლეობა (პატრიციები და პლებეები) დაყო ხუთ კლასად. დაყოფის საფუძველი გახდა ქონება. პირველ კლასს მიეკუთვნებოდნენ ისინი, რომელთა ქონება შეადგენდა 100 000 ასს (ასი იყო ფულის ერთეული), მეორე კლასის მოქალაქეებს უნდა ჰქონოდათ 75 000, მესამე კლასისას – 50 000, მეოთხე კლასისას – 25 000, მეხუთე კლასისას – 11 000.

სერვიუს ტულიუსის რეფორმის თანახმად, თითოეული კლასი ქონების შესაბამისად იყო წარმოდგენილი სამხედრო სამსახურში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეფეთა ხანიდან მოყოლებული, სამხედრო სამსახური მდიდარ რომაელთა პრივილეგიად მიიჩნეოდა. პირველი კლასი შეადგენდა 98 ცენტურიას (ასეული), მეორე, მესამე და მეოთხე, თითოეული – 22-ს, მეხუთე – 30-ს. ამათ გარდა იყო უქონელთა ფენა, რომლებსაც პროლეტარებს ეძახდნენ, ისინი ერთ ცენტურიას შეადგენდნენ. ცენტურია იყო არა მარტო სამხედრო, არამედ ხმის მიცემის ერთეულიც ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში. 195 ცენტურიიდან 98 მოდიოდა პირველ კლასზე. ცენტურიათა სახალხო კრებებზე გადამწყვეტი ხმების უმრავლესობა მდიდარ რომაელებს ეკუთვნოდათ.

სერვიუს ტულიუსის რეფორმებმა დააკანონა პატრიციების ბატონობა რომის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ცხოვრებაზე.

სერვიუს ტულიუსის რეფორმებში ბევრ მსგავსებას ხედავენ ბერძენი კანონმდებლების, სოლონისა და კლისთენეს რეფორმებთან. ვარაუდობენ, რომ ტულიუსის სახელს მიწერილი გარდაქმნები და სახელმწიფოს მოწყობის მოდელი გამართული იყო ელინურ სისტემასთან მიახლოებულად. რეფორმებში ჩანს დემოკრატიული მმართველობის ანარეკლი, რაც შეუძლებელია, მონარქიის პირობებში შექმნილიყო.

ანტიკურ წყაროებში მეფეები დახასიათებული არიან სამართლიანობისა და სახელმწიფოებრივი წესრიგის დამკვიდრების სიმბოლოებად. მათ სახელს უკავშირდება რომის საზღვრების გაფართოება, დამცავი კედლის მშენებლობა, განათლების ელემენტების ჩასახვა (გადმოცემის თანახმად, რომის მეორე მეფე ნუმა პომპილიუსი იყო პითაგორას მოწაფე). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ წარმომავლობით მეფეები იყვნენ საბინები (ნუმა პომპილიუსი, ანკუს მარციუსი) და ეტრუსკები (ტარკვინიუს პრისკუსი, ტარკვინიუს ამაყი). მეფეთა ხანაში ჩამოყალიბდა გვაროვნული არისტოკრატიის დასაყრდენი უხუცესთა საბჭო (სენატი). იმავე პერიოდს მიეწერება რელიგიური საკითხების მოწესრიგება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეფეების გარკვეული ნაწილი ეტრუსკი იყო, არ არის მოულოდნელი ეტრუსკული კულტების ფართოდ გავრცელება. მთლიანობაში, მეფეთა ხანაში გატარებულ გარდაქმნებს ანტიკური ტრადიცია დადებითად აფასებდა.

მეფეთა ამაღლებულ დახასიათებაში გამონაკლისს წარმოადგენს მეშვიდე მეფე ტარკვინიუს ამაყი. მის შესახებ მხოლოდ უარყოფითი გადმოცემებია დაცული. რომის ისტორიკოსებს მისი მისამართით ერთი საქებარი სიტყვაც არ დასცდენიათ. უკანასკნელი მეფე არ ითვალისწინებდა სენატის აზრს, ავიწროებდა და ქედმაღლურად ეკიდებოდა პატრიციებს (რაზეც მეტყველებს მეტსახელი „ამაყი“). სჯიდა და რომიდან აძევებდა მოქალაქეებს და ახდენდა მათი ქონების კონფისკაციას, სასტიკად უსწორდებოდა სერვიუს ტულიუსთან დაახლოებულ პირებს, გაზარდა გადასახადები. ქვეყანაში დამყარებულმა დესპოტიზმმა საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია, რაც შეიარაღებულ გამოსვლაში გადაიზარდა.

რომის ისტორიის გარდამტეხ საფეხურს წარმოადგენდა სამეფო ხელისუფლების დამხობა და რესპუბლიკური წყობილების დამყარება. ძვ. წ. 509 (თუ 510) წელს ტარკვინიუს ამაყი ტახტიდან ჩამოაგდეს და გააძევეს. რომში რესპუბლიკური წყობილება დამყარდა. სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სენატი (Senex. მოხუცი. უხუცესთა საბჭო). მეფეთა ერთპიროვნული მმართველობა შეიცვალა არჩევითი მაგისტრატურებით. უმაღლეს ხელისუფლებას სათავეში ედგნენ კონსულები. ირჩევდნენ ორ კონსულს თანაბარი უფლებებით ერთი წლის ვადით.

რომის რესპუბლიკის ისტორია დაიწყო პატრიციებისა და პლებეების დაპირისპირებით. მეფეთა ხანიდან რომმა მემკვიდრეობით მიიღო თავისუფალი მოსახლეობის დაყოფა პატრიციებად და პლებეებად. პატრიციები იყვნენ უმაღლესი ფენის წარმომადგენლები. მხოლოდ პატრიციების რიგებიდან ხდებოდა სენატის შევსება. სენატორებს ეწოდებოდათ მამები (Pater. მამა. აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდება).

კონსულები იყვნენ რომის პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველები, მათზე გადავიდა მეფეების ფუნქციები. კონსულებისა და დანარჩენი მაგისტრატების თანამდებობრივი ამაღლება ითვლებოდა ღირსებად და ანაზღაურებას არ იღებდნენ. მაგისტრატურები იყოფოდა ორ კატეგორიად: უფროსად და უმცროსად. უფროს მაგისტრატურებში შედიოდნენ: კონსულები, პრეტორები, ცენზორები. დანარჩენები იწოდებოდნენ უმცროსებად. არჩევა ყველა თანამდებობაზე ერთი წლის ვადით ხდებოდა. მხოლოდ ცენზორის უფლებამოსილება იყო განსაზღვრული ხუთი წლით.

ძვ. წ. 180 წელს ვიდიუსის კანონით დამტკიცდა თანამდებობების დაკავების თანამიმდევრობა: კვესტორი, ედილი, პრეტორი კონსული. კონსულის თანამდებობის პრეტენდენტს წინა საფეხურები გავლილი უნდა ჰქონოდა. ვიდიუსის კანონი დიდ ყურადღებას უთმობდა ასაკს. კვესტორის თანამდებობის მსურველს გავლილი უნდა ჰქონოდა ათწლიანი სამხედრო სამსახური. კანონი მიზნად ისახავდა, არ დაეშვათ თანამდებობაზე გამოუცდელი ახალგაზრდები. ვიდიუსის კანონის ჩასწორებული რედაქცია ძვ. წ. 81 წელს წარმოადგინა კორნელიუს სულამ, რომლის თანახმადაც, განისაზღვრა თანამდებობის პირთა ასაკი: კვესტორის – 30 წელი, პრეტორის – 40 წელი, ხოლო კონსულის – 43 წელი.

მაგისტრატურების სათავეში იდგნენ კონსულები. რომში არსებობდა ექსტრაორდინარული – დიქტატორის – თანამდებობა. ეს ხდებოდა განსაკუთრებული საშიშროების შემთხვევაში. დიქტატორის არჩევისთანავე 6 თვით ყველა მაგისტრატურა წყვეტდა ფუნქციონირებას. დიქტატორებს ირჩევდნენ რესპუბლიკის ადრეულ საუკუნეებში. რომაელებმა უკანასკნელი დიქტატორი მეორე პუნიკური ომის დროს აირჩიეს. რომში თანამდებობის დაკავება ნებისმიერ სრულუფლებიან მოქალაქეს შეეძლო, მაგრამ იმის გამო, რომ შრომის ანაზღაურება არ ხდებოდა, მსურველი მცირე იყო. სამშობლოს უანგაროდ უმეტესად შეძლებული ოჯახის წევრები ემსახურებოდნენ.

მართვა-გამგეობის სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მეორე რიგის მაგისტრატები – სახალხო ტრიბუნები, სამხედრო ტრიბუნები და კვესტორები. მათი უფლებამოსილებაც კოლეგიალური იყო. მცირე მაგისტრატებიდან განსაკუთრებული უფლებებით იყვნენ აღჭურვილი სახალხო ტრიბუნები, როგორც პლებეების ინტერესების დამცველები. თუ ტრიბუნები დაინახავდნენ, რომ პლებეების უფლებები ირღვეოდა, სარგებლობდნენ ვეტოს უფლებით. ტრიბუნატი წარმოიშვა პატრიციებისა და პლებეების ბრძოლის პროცესში, როგორც პლებეების დამცავი აპარატი. სახალხო ტრიბუნს ვეტოს